საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01–08/55

17 სექტემბერი, 2012 წ. ქ. ბათუმი

,,2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში რსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ" რსუ–ს რექტორის 2012 წლის 7 სექტემბრის №01/–8/47 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, რსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის" შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში რსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ" რსუ–ს რექტორის 2012 წლის 7 სექტემბრის №01/–8/47 ბრძანებაში შეტანილი იქნეს ცვლილება და დამატება. კერძოდ კი:

ა) №01/–8/47 ბრძანების პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) **პირველი სასწავლო წლის:** ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის - 2012 წლის 19 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის - 2012 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით;

ბ) ბრძანების მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის 2.1. პუნქტი:

,,2.1. დავალიანებული კრედიტების (ე.წ. ,,კურსის გავლა") საფასურზე არ ვრცელდება მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურისათვის დადგენილი ეტაპობრივი გადახდის შეღავათი. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი სრულად იხდის მიმდინარე სემესტრში დარეგისტრირებული (ასათვისებელი) კრედიტების საფასურს.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**